ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №118
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **25 დეკემბერი 2020 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ (მის: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ.№15; საბანკო რეკვიზიტები: სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“, ბანკის კოდი: UGEBGE22, ა/ა GE21VT6500000007773607; საიდ. კოდი - 202462101), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”, წარმოდგენილი დირექტორის ლაშა ახალბედაშვილის სახით და მეორეს მხრივ

მიმწოდებელი: შპს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“; საიდენტიფიკაციო კოდი: 412674921;
მისამართი: იურიდ. მის.-თამარ მეფის ქუჩა 53; ფაქტ. მის. 9 აპრილის ქუჩა N10, ტელ: 551984191;
დირექტორი: ერეკლე ჯინჯიხაძე;
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი” ; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა: GE72TB7221736020100003;

შემდგომში „მიმწოდებელი“, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: **სანიაღვრე სისტემის (ქსელის) მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, დანართი N1-ის შესაბამისად.**
2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4000.00 (ოთხი ათასი)** ლარს. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.4 კლასიფიკატორის კოდი - CPV- 71240000 - არქიტექტურული, საინჟინრო და დაგეგმარების მომსახურებები.
2.5 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 01 მარტის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით).
3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. ბათუმი, ძმები ნობელების ქუჩა.
3.3. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჩაბარების ადგილი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15.
3.4. მომსახურების გაწევის პირობები: დანართი N1-ის მიხედვით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2. ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
4.3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდების კონტროლს ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებით გაწეული მომსახურების ხელახალი შესრულება.
5.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები"-ს საოპერაციო დეპარტამენტის ტექნიკური სამსახურის უფროსი გელა კელაპტრიშვილი.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
6.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტებული პირის (ორგანიზაციის) მიერ გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში.
6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები"-ს საოპერაციო დეპარტამენტის ტექნიკური სამსახურის უფროსი გელა კელაპტრიშვილი.** მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).
6.4 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
7.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ,,მიმწოდებლის'' წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.
7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეებს შორის მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) გამოწერისა და წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.
7.4 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებიდან 7.3 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშწორებამდე მიმწოდებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი უფლებამოსილია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მას, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.
7.5 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8.ელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების **2%-ის** ოდენობით.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **1%-ის** ოდენობით.
8.4 მიმწოდებლის მხირადნ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

8.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის **1%-ის** ოდენობით.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
9.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.6 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.7 ამ მუხლის პირველსა და მე-6 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, საჯარო სამართლის კორპორაცია „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“ დასკვნა ფორსმაჟორის დადასტურების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.3 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას.

12. უფლებების გადაცემა

12.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).
12.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ორგანიზაციის შერწყმა, გაყოფა და სხვ.)

13. ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
13.2 მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის და ელექტრონული ფოსტის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 ტელეფონით და ელექტრონული ფოსტით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი: **ერეკლე ჯინჯიხაძე, ტელეფონის ნომერი: 551984191; ელფოსტა ninomumladze1988@gmail.com;**
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი: **გელა კელაპტრიშვილი; ტელეფონის ნომერი: 591707910, ელ-ფოსტა Gela.Kelaptrishvili@railway.ge.**
14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
15.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
15.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
16.3 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.4 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

დანართი N1

ქ. ბათუმის ტერმინალზე შესასრულებელი სამუშაოები და მომსახურების გაწევის პირობები:

მომსახურების აღწერა: მომსახურება მოიცავს ქ. ბათუმში ძმები ნობელების ქუჩაზე არსებული ტერმინალის სანიაღვრე სისტემის (ქსელის) მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას.

დასაპროექტებელი მონაკვეთის სავარაუდო სიგრძე შეადგენს 80 მეტრს (დაზუსტდეს პროექტირებისას.).
პროექტირებისას უნდა მოხდეს ტერმინალის მიმდბარედ არსებული ცენტრალური სანიაღვრე ქსელის შესწავლა და განისაზღვროს მასზე ახლადმოწყობილი სანიაღვრე ქსელის დაერთების შესაძლებლობა ან მოიძებნოს ახლადმოწყობილი სანიაღვრე ქსელის დაერთების ალტერნატიული ოპტიპალური ვარიანტი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ქვემოთ მითითებულ დოკუმენტებს, რომელიც შედგენილი უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების მიხედვით:
1. განმარტებითი ბარათი;
2. გეოლოგიური საკვლევი სამუშაოები;
3. ტოპოგეოდეზიური სამუშაოები და სიტუაციურ გეგმაზე ნიშნულების დატანა;
4. სიტუაციური გეგმა სათანადო დეტალიზაციით;
5. არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების მდგომარეობის შესწავლა, დატანა სიტუაციურ გეგმაზე ;
6. სქემატური ნახაზები, გეგმები, კვთეთები;
7. განივი პროფილები უნდა შეიცავდეს: საპროექტო, მიწის და მუშა ნიშნულებს, პიკეტაჟს, მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, განივი ქანობების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად და მიმდინარე სიტუაციას.
8. გრძივი პროფილები გზის ღერძის გასწვრივ (უნდა შეიცავდეს: საპროექტო, მიწის და მუშა ნიშნულებს, პიკეტაჟს, მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, განივი ქანობების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად.
9. საპროექტო სამუშაოების კონცეფცია უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრების ვადის ამოწურვამდე, სადაც განისაზღვრება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების ხარვეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლის გასწორება შესაძლებელი იქნება დარჩენილ ვადაში.
10. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები), კალენდარული გრაფიკი;
11. მომსახურების ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით ქართულ ენაზე 3(სამი) ეგზემპლარად ბეჭდური ვერსიის სახით, წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD/ArchiCAD და PDF ფორმატებში). დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, როგორც ელექტრონულ ფორმატში (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD/ArchiCad და PDF ფორმატებში) კომპაქტური დისკებით (CD ან DVD სახით) . ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იქნას რესურსული მეთოდით შედგენილი და ასევე გამარტივებული ვერსიის სახით, რომელშიც მითითებული იქნება „ტექნიკური რეგლამენტის - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით განსაზღვრული დარიცხვების პროცენტული მაჩვენებლები და ფორმულის საშუალებით გაანგარიშებული თანხის ოდენობა.
12. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მხოლოდ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ.

13. მიმწოდებელი ვალდებულია, გაწეული მომსახურებაზე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ ან სხვა აკრედიტებული პირის (ორგანიზაციის) მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).
14. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ შესრულებული პროექტის შესაბამისად წარმოებული სამშენებლო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში პროექტში შეიტანოს კორექტირებები დამკვეთთან შეთანხმებით.
15. სამუშაოების წარმოების პროცესში, საავტორო ზედამხედველობისას, მიმწოდებელი ვალდებულია პროექტებში შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ყველა დეფექტისა და ნაკლის აღმოსაფხვრელად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემსყიდველის მიერ გაკეთებული ოფიციალური მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში (ზუსტ ვადას განსაზღვრავს შემსყიდველი აღნიშნული ფაქტის დადგომისას), მოახდინოს პროექტის კორექტირება.

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

GR Logistics and Terminals LLC

Digitally signed by GR Logistics and Terminals LLC
Date: 2020.12.25 14:53:14 +04'00'

Erekle Jinjikhadze

Digitally signed by Erekle Jinjikhadze
Date: 2020.12.25 17:38:53 +04'00'